შპს საქართველოს მელიორაცია
Georgian Amelioration LTD

N გ-3195
19/11/2018

3195-გ-2-201811191916

სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“

გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს

ბატონ ირაკლი ჩიდრაშვილს

ბატონო ირაკლი,

შპს „საქართველოს მელიორაციაში“ შემოსულია სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 08.11.2018წ. N6/62264 წერილი, რომელშიც დასმულია საკითხი ქ. თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2626კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 81.08.26.721) იჯარა/პრივატიზების ფორმით გაცემის შესახებ.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ გადის ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხი. ვინაიდან ხსენებული მიწის ნაკვეთი დაცილებულია არხიდან და იგი არ ექცევა გასხვისების ზოლში (6 მეტრი არხის კიდედან), შპს „საქართველოს მელიორაცია“ არ არის წინააღმდეგი იჯარა/პრივატიზების ფორმით გაცემულ იქნას ქ. თბილისში, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2626კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.08.26.721). ასევე დაცული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 31.12.2013წ. N409 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რათა ხელი არ შეეშალოს სამელიორაციო სისტემის გამართულ ტექნიკურ ექსპლუატაციას.

პატივისცემით,

ოთარ შამუგია

გენერალური დირექტორი

0114, ქ.თბილისი, გ. გულუას ქ. N6 ტელ: (995 32) 2 001000